საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება №177/2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქ. თბილისი 2016 წლის 3 აპრილი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გრანტის გაცემის წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა სსიპ - საარჩევნო სიტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორს, ამ განკარგულებაზე თანდართული, სსიპ - საარჩევნო სიტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2016 წლის 2 აპრილის №59 (ცესკოში რეგისტრაციის №859; 02.04.2016.) წერილით წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ბრძანებით განსაზღვროს საგრანტო საკონკურსო კომისიის შემადგენლობა.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	**თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი	**გიორგი ჯავახიშვილი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
LEPL Centre for Electoral Systems Development, Reforms and Trainings

N 59
02/04/2016

59-1-2-201604021733

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ჟვანიას

ქალბატონო თამარ,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (შემდგომში - სწავლების ცენტრი) მიერ 2016 წლის 15 მარტიდან გამოცხადდა საგრანტო კონკურსი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული სწავლების ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თანხმობის მისაღებად წარმოგიდგენთ ინფორმაციას (CV-ები თან ერთვის) საგრანტო საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატურების შესახებ:

ა) დავით ღონღაძე - საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES);
ბ) თინათინ ბოლქვაძე - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო;
გ) ნანა ჭიღლაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;
დ) გიორგი ჟღენტი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
ე) თამარ ჯაფარიძე - სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია;
ვ) მარიამ ჩიხლაძე - ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD);
ზ) შორენა ღარიბაშვილი - კონრად ადენაუერის ფონდი (KAS);
თ) მარიკა ვერულაშვილი - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI);
ი) თეონა ყუფუნია - საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI);
კ) ნინო გოგოლაძე - ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისარის წარმომადგენლობა (OSCE HCNM).

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრი; ტელ/ფაქსი: (+995 32) 261-21-11
Tbilisi, Davit Aghmashenebeli lane, 13th km; Tel/Fax: (+995 32) 261-21-11
E-mail: centre@electionreforms.ge

ამასთან გაცნობებთ, რომ „ვ“-„კ“ პუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები საგრანტო საკონკურსო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებენ სათათბირო ხმის უფლებით, ზემოაღნიშნული „გრანტის გაცემის წესის“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

დანართი: 40 (ორმოცი) ფურცლად

პატივისცემით,

ნათია ზაალიშვილი

დირექტორი

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი